

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლებსა და კაპიტალზე და ქონებაზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ

საქართველოს მთავრობა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობა შემდგომში „მხარეებად“ წოდებულნი,

ხელმძღვანელობენ რა ორ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების სურვილით, აგრეთვე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლებზე და კაპიტალზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის მიზნით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. პირები, რომელთა მიმართაც გამოიყენება შეთანხმება

შეთანხმება გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ ერთი ან ორივე სახელმწიფოს რეზიდენტებს.

მუხლი 2. გადასახადები, რომელთა მიმართ ვრცელდება შეთანხმება

1. შეთანხმება ვრცელდება შემოსავლებზე და კაპიტალზე იმ გადასახადების მიმართ, რომლებიც გადაიხდება მხარეების ან მათი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის კანონმდებლობის შესაბამისად, მიუხედავად მათი გადახდის წესისა.

2. შემოსავლებზე გადასახადებად ითვლება ყველა ის გადასახადი, რომელიც ამოიღება:

შემოსავლების მთლიანი თანხიდან, კაპიტალის მთლიანი თანხიდან ან მათი ცალკეული ელემენტებიდან, უძრავ-მოძრავი ქონების გასხვისებით მიღებული შემოსავლებიდან, საწარმოების მიერ ხელფასების ფონდიდან, აგრეთვე, კაპიტალის ღირებულებაზე ნამატიდან გადასახადის ჩათვლით.

3. არსებულ გადასახადებს, რომელთა მიმართ ვრცელდება შეთანხმება, წარმოადგენს:

a) საქართველოში:

(I) საწარმოს მოგების (შემოსავლების) გადასახადი;

(II) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;

(შემდგომში წოდებული როგორც „საქართველოს გადასახადები“).

b) პოლონეთის რესპუბლიკაში:

(I) იურიდიულ პირთა საშემოსავლო გადასახადი;

(II) ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი;

(შემდგომში წოდებული როგორც „პოლონეთის გადასახადები“)

4. შეთანხმება ვრცელდება, აგრეთვე, ყველა იდენტური ან არსებითად ანალოგიური გადასახადის მიმართ, რომელიც ამ შეთანხმების ხელმოწერის თარიღის შემდეგ იქნება გადახდილი არსებულ გადასახადებზე დამატებით ან მათ სანაცვლოდ. ყოველი წლის ბოლოს მხარეების კომპეტენტური ორგანოები შეატყობინებენ ერთმანეთს მათ შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილი ნებისმიერი არსებითი ცვლილებების შესახებ.

მუხლი 3. ზოგადი ტერმინი

1. შეთანხმების მიზნებისათვის, თუ კონტექსტიდან არ გამომდინარეობს სხვა რამ:

a) ტერმინი „საქართველო“ გეოგრაფიული მნიშვნელობით ნიშნავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში მოქცეულ მთელ ტერიტორიას, შიდა და ტერიტორიულ წყლებს,

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა და კონტინენტური შეღების ჩათვლით, რომელთა მიმართ, საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, სუვერენული უფლებები და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა;

b) ტერმინი „პოლონეთი“ გეოგრაფიული მნიშვნელობით ნიშნავს პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიას, მათ შორის ყველა ტერიტორიას ტერიტორიული წყლების გარეთ, რომელთა მიმართ, პოლონეთის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის თანახმად, პოლონეთს შეუძლია განახორციელოს სუვერენული უფლებები საზღვაო ფსკერის, მისი წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების მიმართ;

c) ტერმინი „პირი“ ნიშნავს ფიზიკურ პირს, იურიდიულ პირს, ან პირთა ნებისმიერ გაერთიანებას;

d) ტერმინი „კომპანია“ ნიშნავს ნებისმიერ კორპორაციულ გაერთიანებას ან სხვა ნებისმიერ ეკონომიკურ წარმონაქმნს, რომელიც გადასახადების დაბეგვრის მიზნით არ განიხილება როგორც კორპორაციული წარმონაქმნი;

e) ტერმინი „ერთი მხარის სახელმწიფო“ და „მეორე მხარის სახელმწიფო“ კონტექსტიდან გამომდინარე ნიშნავს საქართველოს ან პოლონეთის რესპუბლიკას;

f) ტერმინი „ერთი მხარის სახელმწიფო საწარმო“ და „მეორე მხარის სახელმწიფო საწარმო“ შესაბამისად ნიშნავს საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ და საწარმოს, რომლის მართვა ხორციელდება მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ;

g) ტერმინი „საერთაშორისო გადაზიდვა“ ნიშნავს ნებისმიერ გადაზიდვას ერთი მხარის სახელმწიფო საწარმოს მიერ ექსპლუატირებული საზღვაო ან საჰაერო ხომალდით, სარკინიგზო ან საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მითითებული სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია ხდება მხოლოდ ერთი და იმავე მხარის სახელმწიფოში განლაგებულ პუნქტებს შორის;

h) ტერმინი „ფაქტობრივი ხელმძღვანელი ორგანო“ ნიშნავს ადგილს, საიდანაც ხორციელდება კომპანიის ფაქტობრივი მართვა და კონტროლი, ადგილს, სადაც მიიღება გადაწყვეტილება უმაღლეს დონეზე კომპანიის მართვისათვის არსებითად მნიშვნელოვან საკითხებზე, ადგილს, რომელიც ძირითად როლს ასრულებს კომპანიის მართვაში, ეკონომიკური და ფუნქციონალური თვალსაზრისით და ადგილს, სადაც ინახება ყველაზე მნიშვნელოვანი საბუღალტრო წიგნები;

i) ტერმინი „კომპეტენტური ორგანო“ ნიშნავს:

(I) საქართველოსთან მიმართებაში – ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

(II) პოლონეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში – ფინანსთა სამინისტროს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს;

j) ტერმინი „ეროვნული პირი“ ნიშნავს:

(I) ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელსაც გააჩნია მხარის სახელმწიფოს მოქალაქეობა;

(II) ნებისმიერ იურიდიულ პირს, რომელსაც, მხარის სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მინიჭებული აქვს ასეთი სტატუსი.

2. მხარის სახელმწიფოს მიერ შეთანხმების გამოყენებისას ნებისმიერ განუსაზღვრელ ტერმინს გადასახადებთან მიმართებაში ენიჭება იმავე მნიშვნელობა, როგორც მას ენიჭება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით, თუ კონტექსტიდან არ გამომდინარეობს სხვა რამ.

მუხლი 4. რეზიდენტი

1. შეთანხმების მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „მხარის სახელმწიფო რეზიდენტი“ ნიშნავს პირს, რომელიც ამ მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დაბეგვრას, საცხოვრებელი ადგილის, მუდმივი ადგილსამყოფლის, ფაქტობრივი ხელმძღვანელი ორგანოს ადგილსამყოფლის ან სხვა ანალოგიური კრიტერიუმის საფუძველზე. მაგრამ ეს ტერმინი არ განსაზღვრავს პირს, რომელიც ექვემდებარება ამ მხარის სახელმწიფოში დაბეგვრას, მხოლოდ ამ მხარის სახელმწიფოში არსებული შემოსავლების წყაროდან მიღებულ შემოსავლებთან მიმართებაში, ან მასში არსებულ ქონებასთან მიმართებაში.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად, ფიზიკური პირი არის ორივე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, მისი სტატუსი განისაზღვრება შემდეგნაირად:

a) იგი ითვლება იმ სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი, თუ მას გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ორივე მხარის სახელმწიფოში, იგი ითვლება იმ მხარის სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც მას გააჩნია უფრო მჭიდრო პირადი და ეკონომიკური კავშირები (სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი);

b) თუ შეუძლებელია იმ მხარის სახელმწიფოს დადგენა, სადაც მას გააჩნია სასიცოცხლო ინტერესების ცენტრი, ან, თუ არცერთი მხარის სახელმწიფოში მას არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იგი ითვლება იმ მხარის სახელმწიფოს რეზიდენტად, სადაც იგი ცხოვრობს 183 დღეს ან მეტ ხანს ნებისმიერ თორმეტთვიან პერიოდში, რომელიც იწყება ან მთავრდება წელს;

c) თუ ფიზიკური პირი ჩვეულებისამებრ ცხოვრობს ორივე მხარის სახელმწიფოში, ან არ ცხოვრობს არც-ერთ მათგანში, მაშინ იგი ითვლება იმ მხარის სახელმწიფოს რეზიდენტად, რომლის ეროვნულ პირსაც იგი წარმოადგენს;

d) თუ, „ა“ – „ც“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რეზიდენტის სტატუსის განსაზღვრა შეუძლებელია, მაშინ მხარის სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები ამ საკითხს გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

3. თუ, ამ მუხლის (1) პუნქტის დებულების შესაბამისად, პირი, რომელიც არ ითვლება ფიზიკურ პირად, არის ერთ-ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, მაშინ იგი ითვლება იმ მხარის სახელმწიფოს რეზიდენტად, რომელშიც განთავსებულია ფაქტობრივი ხელმძღვანელი ორგანო.

მუხლი 5. მუდმივი დაწესებულება

1. შეთანხმების მიზნებისათვის, ტერმინი „მუდმივი დაწესებულება“ ნიშნავს საქმიანობის მუდმივ ადგილს, რომლის მეშვეობითაც საწარმო მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

2. ტერმინი „მუდმივი დაწესებულება“ მოიცავს, კერძოდ:

a) მართვის ადგილს;

b) ფილიალს;

c) ოფისს;

d) ფაბრიკას;

e) სახელოსნოს;

f) მადაროს, გაზის ან ნავთობის ჭაბურღილს, კარიერს, ან ბუნებრივი რესურსების მოპოვების ნებისმიერ სხვა ადგილს.

3. სამშენებლო მოედანი, სამშენებლო, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტი, ან მათთან დაკავშირებული საზედამხედველო ან საკონსულტაციო საქმიანობა წარმოადგენს მუდმივ დაწესებულებას, თუ ის არსებობს 6 თვეზე მეტ ხანს.

4. ამ მუხლის წინა დებულების მიუხედავად, ტერმინი „მუდმივი დაწესებულება“ არ ითვალისწინებს:

a) საწარმოს კუთვნილი ნაგებობებისა და დანადგარების გამოყენებას საქონლის ან ნაკეთობის შენახვის, დემონსტრირების მიზნით;

b) საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობათა მარაგების შემცველობას, მხოლოდ შენახვის, დემონსტრირების მიზნით;

c) საწარმოს კუთვნილი საქონლის ან ნაკეთობათა მარაგის შემცველობას, მხოლოდ სხვა საწარმოს მიერ მათი გადამუშავების მიზნით;

d) საქმიანობის მუდმივი ადგილის მფლობელობას მხოლოდ ამ საწარმოსათვის საქონლის ან ნაკეთობათა შესყიდვის ან ინფორმაციის შეგროვების მიზნით;

e) საქმიანობისათვის მუდმივი ადგილის მფლობელობას, საწარმოსათვის მხოლოდ მოსამზადებელი ან დამხმარე ხასიათის ნებისმიერი სხვა საქმიანობის გახორციელების მიზნით;

f) საქმიანობის მუდმივი ადგილის მფლობელობას მხოლოდ „ა“ – „ბ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ საქმიანობათა სახეობების ნებისმიერი კომბინაციის განსახორციელებლად, იმ პირობით, რომ ასეთი კომბინაციის შედეგად საქმიანობის მუდმივ ადგილზე გახორციელებული საქმიანობა ატარებს მოსამზადებელ ან დამხმარე ხასიათს.

5. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებათა მიუხედავად, თუ სხვა პირი, დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტის გარდა, რომელზეც საუბარია ამ მუხლის მე-6 პუნქტში, მოქმედებს საწარმოს სახელით, გააჩნია და, ჩვეულებისამებრ იყენებს ერთი მხარის სახელმწიფოში უფლებამოსილებას გააფორმოს კონტრაქტები საწარმოს სახელით, მაშინ ეს საწარმო განიხილება, როგორც ამ მხარის სახელმწიფოში მუდმივი წარმომადგენლობის მქონე საწარმოდ ნებისმიერი საქმიანობის მიმართ, რომელსაც ეს პირი ახორციელებს საწარმოსათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა, ამ პირის საქმიანობა შემოიფარგლება ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული საქმიანობით, რომელიც, თუ ხორციელდება მუდმივი საქმიანობის ადგილის საშუალებით და არ გარდაქმნის ამ მუდმივ საქმიანობის ადგილს მუდმივ დაწესებულებად, ამ პუნქტის პირობების შესაბამისად.

6. საწარმო არ განიხილება, როგორც მუდმივი დაწესებულების მქონე საწარმოდ მეორე მხარის სახელმწიფოში, თუკი იგი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას ბროკერის, კომისიონერის ან ნებისმიერი სხვა დამოუკიდებელი სტატუსის მქონე აგენტის მეშვეობით, იმ პირობით, რომ ეს პირები მოქმედებენ თავიანთი ჩვეული პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

7. ის ფაქტი, რომ კომპანია, რომელიც არის ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, აკონტროლებს ან კონტროლირდება მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ, ან ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ამ მეორე მხარის სახელმწიფოში (მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან სხვა სახით), თავისთავად არ გადააქცევს ერთ-ერთს ამ კომპანიებიდან მეორის მუდმივ დაწესებულებად.

მუხლი 6. შემოსავლები უძრავი ქონებიდან

1. ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლები მეორე მხარის სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონებიდან (სოფლისა და სატყეო მეურნეობიდან შემოსავლების ჩათვლით), რომელიც იმყოფება მეორე მხარის სახელმწიფოში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მხარის სახელმწიფოს მიერ;

2. ტერმინს „უძრავი ქონება“ აქვს ის მნიშვნელობა, რომელიც მას გააჩნია იმ მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელშიც მდებარეობს აღნიშნული ქონება. ეს ტერმინი ნებისმიერ შემთხვევაში შეიცავს ქონებას, რომელთაც გააჩნიათ დამხმარე ხასიათი უძრავი ქონების მიმართ, სოფლისა და ტყის მეურნეობაში გამოყენებულ პირუტყვს და მოწყობილობებს,

უფლებებს, რომელთა მიმართაც იყენებენ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგადი სამართლის დებულებებს, უძრავი ქონების უზურფრუქტს (სხვისი საკუთრებითა და მისგან შემოსავლებით სარგებლობის უფლება ზიანის მიუყენებლად) და უფლებას ცვალებად და ფიქსირებულ გადასახადებზე, რომლებიც გაიცემა როგორც კომპენსაცია მინერალური წიაღისეულის მარაგის, წყაროების და სხვა ბუნებრივი რესურსების დამუშავებისათვის ან დამუშავების უფლებისათვის. სატრანსპორტო საშუალებები არ განიხილება როგორც უძრავი ქონება.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებები ვრცელდება აგრეთვე შემოსავლებზე, რომლებიც მიიღება უძრავი ქონების პირდაპირი გამოყენებიდან, იჯარით გაცემიდან, ან უძრავი ქონების ნებისმიერი სხვა ფორმით გამოყენებიდან.

4. ამ მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების დებულებები ვრცელდება აგრეთვე საწარმოს უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლების მიმართ და უძრავი ქონებიდან შემოსავლების მიმართ, რომელიც გამოიყენება დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის მიზნით.

მუხლი 7. მოგება ეკონომიკური (სამეწარმეო) საქმიანობიდან

1. ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმოს მოგება დაიბეგრება მხოლოდ ამ მხარის სახელმწიფოში, თუ ეს საწარმო არ ახორციელებს ეკონომიკურ (სამეწარმეო) საქმიანობას მეორე მხარის სახელმწიფოში, იქ განლაგებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. თუ საწარმო ამგვარად ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, მაშინ მისი მოგება შეიძლება დაიბეგროს მეორე მხარის სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც მიეკუთვნება ამ მუდმივ დაწესებულებას.

2. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, თუ ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმო ახორციელებს ეკონომიკურ (სამეწარმეო) საქმიანობას მეორე მხარის სახელმწიფოში იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ თითოეული მხარის სახელმწიფოში ამ მუდმივ დაწესებულებას მიეკუთვნება მოგება, რომელიც მას შეიძლება მიეღოს, როგორც განკერძოებული საწარმო, იმავე ან ანალოგიური საქმიანობით დაკავებული, იმავე ან ანალოგიურ პირობებში და მოქმედებას გაწევდა სრულიად დამოუკიდებლად იმ საწარმოსაგან, რომლის მუდმივ დაწესებულებასაც ის წარმოადგენს.

3. მუდმივი დაწესებულების მოგების განსაზღვრისას დაიშვება იმ ხარჯების გამოქვითვა, რომლებიც გაწეულია ასეთი მუდმივი დაწესებულების მიზნებისათვის, მმართველობითი და საერთო ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით, იმისგან დამოუკიდებლად, რომ ეს ხარჯები გაწეულია იმ მხარის სახელმწიფოში, სადაც იმყოფება მუდმივი წარმომადგენლობა, ან, მის ფარგლებს გარეთ.

4. თუ მხარის სახელმწიფოში მუდმივი დაწესებულების კუთვნილი მოგების განსაზღვრა ჩვეულებისამებრ ხორციელდება საწარმოს მოგების მთლიანი თანხის ამ საწარმოს სხვადასხვა ქვედანაყოფებს შორის გადანაწილების საფუძველზე, მაშინ ამ მუხლის მე-2 პუნქტში არაფერი არ უშლის ხელს ამ მხარის სახელმწიფოს, განსაზღვროს დასაბეგრი მოგება ასეთი გადანაწილების მეშვეობით, როგორც ეს მიღებულია პრაქტიკაში; მაგრამ გადანაწილების არჩეული მეთოდის გამოყენებით მიღწეული უნდა იქნეს ამ მუხლის პრინციპების შესაბამისი შედეგები.

5. მუდმივ დაწესებულებას არ დაერიცხება არავითარი მოგება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მან შეიძინა საქონელი ან ნაკეთობანი თავისი საწარმოსათვის.

6. წინა პუნქტების მიზნებისათვის, მოგება, რომელიც დაკავშირებულია მუდმივ დაწესებულებასთან, განისაზღვრება ყოველ წელს ერთი და იმავე მეთოდებით, მხოლოდ თუ არ იქნება საფუძვლიანი და საკმარისი მიზეზი მის შესაცვლელად.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც მოგება შეიცავს შემოსავლების ისეთ სახეებს, რომლებიც განხილულია შეთანხმების სხვა მუხლებში, მაშინ ამ მუხლის დებულებები არ შეეხება იმ მუხლების დებულებებს.

მუხლი 8. საერთაშორისო გადაზიდვები

1. საერთაშორისო გადაზიდვებში სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციიდან მიღებული მოგება, გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ იმ მხარის სახელმწიფოში, სადაც განლაგებულია საწარმოს ფაქტობრივი ხელმძღვანელი ორგანო.

2. თუ კომპანიის ფაქტობრივი ხელმძღვანელი ორგანო განლაგებულია საზღვაო ხომალდის გემბანზე, მაშინ იგი ითვლება იმ მხარის სახელმწიფოში განლაგებულად, სადაც იმყოფება საზღვაო ხომალდის მიწერის პორტი, ხოლო ასეთი პორტის არარსებობის შემთხვევაში – იმ მხარის სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტიც არის საზღვაო ხომალდის მფლობელი.

3. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის დებულებები გამოიყენება აგრეთვე პულში, ერთობლივ საწარმოებში ან სატრანსპორტო საშუალებების საექსპლუატაციო საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაწილეობის შედეგად მიღებული შემოსავლების მიმართ.

მუხლი 9. ასოცირებული საწარმოები

1. იმ შემთხვევაში თუ:

a) ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმო პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს მეორე მხარის სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში, ან

b) ერთი და იმავე პირები პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმოს და მეორე მხარის სახელმწიფოს საწარმოს მართვაში, კონტროლში ან კაპიტალში, და ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ორ საწარმოს შორის ეკონომიკურ (სამეწარმეო) და ფინანსურ ურთიერთობაში იქმნება ან მყარდება პირობები განსხვავებული იმათგან, რომლებსაც ადგილი ექნება ორ დამოუკიდებელ საწარმოს შორის, მაშინ ნებისმიერი მოგება, რომელიც შეიძლება დარიცხული ყოფილიყო რომელიმე მათგანისათვის, მაგრამ ამ პირობების არსებობის გამო არ დაერიცხა, შეიძლება ჩართულ იქნეს ამ საწარმოს მოგებაში და შესაბამისად დაიბეგროს გადასახადით.

2. იმ შემთხვევაში, როცა ერთი მხარის სახელმწიფო ამ სახელმწიფოს საწარმოს მოგებაში ითვალისწინებს, და, შესაბამისად, ბეგრავს გადასახადით იმ მოგებას, რომელთან მიმართებაში მეორე მხარის სახელმწიფოს საწარმო დაექვემდებარა დაბეგრას ამ მეორე მხარის სახელმწიფოში, და ასეთი სახით გათვალისწინებული მოგება წარმოადგენს მოგებას, რომელიც შეიძლება დადარიცხულიყო პირველად ხსენებული მხარის სახელმწიფოს საწარმოზე, თუკი ამ ორ საწარმოს შორის იქმნებოდა იმავე ურთიერთობა, როგორც დამოუკიდებელ საწარმოებს შორის, მაშინ ეს მეორე მხარის სახელმწიფო მოახდენს მის მიერ ამ მოგებაზე დარიცხული გადასახადის შესაბამის კორექტირებას. ასეთი კორექტირების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შეთანხმების სხვა დებულებები, ხოლო ორივე მხარის სახელმწიფოთა კომპეტენტური ორგანოები აუცილებლობის შემთხვევაში კონსულტაციებს გაუწევენ ერთმანეთს.

მუხლი 10. დივიდენდები

1. დივიდენდები, რომლებიც ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის მიერ გადახდილი იქნება მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტისათვის, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

2. ასეთი დივიდენდები შეიძლება აგრეთვე დაიბეგროს იმ მხარის სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტიცაა დივიდენდების გამამხდელი კომპანია, აღნიშნული მხარის კანონმდებლობის

შესაბამისად, მაგრამ თუ მიმღები წარმოადგენს დივიდენდების ფაქტობრივ მფლობელს, მაშინ ასეთი სახით გადახდილი გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების საერთო თანხის 10%-ს.

ამ პუნქტის დებულებები არ შეეხება კომპანიის დასაბეგრ მოგებას, რომლიდანაც გაიცემა დივიდენდები.

3. ტერმინი „დივიდენდები“ მითითებულ მუხლში გამოყენებისას ნიშნავს შემოსავალს აქციებიდან, აქციების ან უფლებების სარგებლობიდან. სამთომომპოვებელი მრეწველობის აქციები, დამფუძნებელთა აქციებიდან და სხვა უფლებებიდან, რომლებიც არ წარმოადგენენ საკრედიტო ვალდებულებებს, იძლევიან მოგებაში მონაწილეობის უფლებას, აგრეთვე სხვა კორპორაციული უფლებებიდან შემოსავალი, რომლებიც ექვემდებარება ანალოგიურ საგადასახადო რეგულირებას, როგორც აქციიდან შემოსავალი, იმ მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობების შესაბამისად, რომლის რეზიდენტადაც ითვლება მოგების გამანაწილებელი კომპანია.

4. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ დივიდენდების ფაქტობრივი მფლობელი, როგორც ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, ახორციელებს ეკონომიკურ (სამეწარმეო) საქმიანობას მეორე მხარის სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტიც არის დივიდენდების გადამხდელი კომპანია, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ან მეორე მხარის სახელმწიფოში ახორციელებს დამოუკიდებელ პირად მომსახურების გაწევას იქ არსებული მუდმივი ბაზიდან, და ჰოლდინგს, რომელთა მიმართაც გადაიხდება დივიდენდები, ნამდვილად მიეკუთვნება ასეთ მუდმივ დაწესებულებას ან მუდმივ ბაზას. ასეთ შემთხვევაში, ვითარებიდან გამომდინარე, გამოიყენება წინამდებარე შეთანხმების მე-7 და მე-14 მუხლების დებულებები.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანია იღებს მოგებას ან შემოსავალს მეორე მხარის სახელმწიფოდან, მეორე მხარის სახელმწიფოს შეუძლია არ დაბეგროს აღნიშნული კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს დივიდენდები გაიცემა ამ მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტზე ან, თუ ჰოლდინგი, რომლის მიმართაც გაიცემა დივიდენდები, ნამდვილად მიეკუთვნება მეორე მხარის სახელმწიფოში მდებარე მუდმივ დაწესებულებას ან მუდმივ ბაზას.

6. კომპანიის მოგება, რომელიც არის ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი და ახორციელებს ეკონომიკურ(სამეწარმეო) საქმიანობას მეორე მხარის სახელმწიფოში, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, შეიძლება, მე-7 მუხლით გათვალისწინებული დაბეგვრის შემდეგ, დაიბეგროს დარჩენილი ნაწილი იმ მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც არსებობს მუდმივი დაწესებულება, იმ პირობით, რომ ამგვარად ამოღებული გადასახადის განაკვეთი არ აღემატება მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ოდენობას.

მუხლი 11. პროცენტი

1. ერთი მხარის სახელმწიფოში წარმოქმნილი პროცენტი, რომელიც გადახდილი იქნება მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტისათვის, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით მეორე მხარის სახელმწიფოში.

2. ამასთან, ასეთი პროცენტი შეიძლება დაიბეგროს აგრეთვე იმ მხარის სახელმწიფოში, რომელშიც ის წარმოიქმნება აღნიშნული მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ თუ მიმღები წარმოადგენს პროცენტის ფაქტობრივ მფლობელს, ასეთ შემთხვევაში დაკისრებული გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს პროცენტის მთლიანი თანხის 10%-ს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიუხედავად, არ იხეგრება პროცენტი, რომელიც წარმოიქმნება ერთი მხარის სახელმწიფოში და აუნაზღაურდება მეორე მხარის სახელმწიფოს მთავრობას ან მეორე მხარის სახელმწიფოს ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს.

4. ამ მუხლში ტერმინი „პროცენტი“ გამოყენებისას ნიშნავს, ნებისმიერი სახის დავალიანების მოთხოვნიდან მიღებულ შემოსავალს, მიუხედავად იპოთეკური უზრუნველყოფისა და დებიტორების მოგებაში მონაწილეობის უფლების არსებობისა, კერძოდ კი, შემოსავლებს, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების და ობლიგაციების, ან დავალიანებების, პრემიებისა და მოგებათა ჩათვლით, რომლებიც მიიღება ამ ფასიანი ქაღალდებიდან, ობლიგაციებიდან და დავალიანებიდან. ამ მუხლის მიზნებისათვის, არადროულ გადახდაზე დაკისრებული ჯარიმები არ განიხილება, როგორც პროცენტი.

5. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება თუ ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც პროცენტის ფაქტობრივი მფლობელი, ახორციელებს ეკონომიკურ (სამეწარმეო) საქმიანობას მეორე მხარის სახელმწიფოში, სადაც წარმოიშობა პროცენტი, მასში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ან ამ მეორე მხარის სახელმწიფოში ეწევა დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ მდებარე მუდმივი ბაზის მეშვეობით, დავალიანების მოთხოვნები, რომელთა საფუძველზე გადახდილ იქნება პროცენტი, ნამდვილად მიეკუთვნება ასეთ მუდმივ წარმომადგენლობას ან მუდმივ ბაზას. ასეთ შემთხვევაში, ვითარებიდან გამომდინარე, გამოიყენება მიმდინარე შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლების დებულებანი.

6. ითვლება, რომ პროცენტი წარმოიქმნება მხარის სახელმწიფოში, თუ გადამხდელად გამოდის თვითონ ამ მხარის სახელმწიფო, ან ამ მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, თუ ამასთან, პროცენტების გადამხდელ პირს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, მეორე მხარის სახელმწიფოში გააჩნია მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, რომელთა დაკავშირებით წარმოიქმნება დავალიანება, რომელზეც გაცივმა პროცენტი და ამ პროცენტის გადახდის ხარჯების ანაზღაურებას ახორციელებს მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, მაშინ ითვლება, რომ ასეთი პროცენტი წარმოიქმნება იმ მხარის სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა.

7. თუ პროცენტის გადამხდელსა და პროცენტის ფაქტობრივ მფლობელს შორის ან მათსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობის გამო, დავალიანებაზე განკუთვნილი საპროცენტო განაკვეთი, რომლის საფუძველზეც იგი გადახდილ იქნება, აჭარბებს თანხას, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა პროცენტის გადამხდელსა და ფაქტობრივ მფლობელს შორის, ასეთი ურთიერთობების არარსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ უკანასკნელად ხსენებული საპროცენტო განაკვეთის მიმართ. ამ შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი თანხა ექვემდებარება დაბეგვრას თითოეული მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 12. როიალტი

1. ერთ მხარის სახელმწიფოში წარმოქმნილი და მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტისათვის გადახდილი როიალტი შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

2. ამასთან, ასეთი როიალტი შეიძლება დაიბეგროს ერთი მხარის სახელმწიფოში, რომელშიც იგი წარმოიქმნება ამ ერთი მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები და როიალტის ფაქტობრივი მფლობელი არის მეორე მხარის

სახელმწიფოს რეზიდენტი, ამ შემთხვევაში გადასახადი განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს როიალტის საერთო თანხის 10%-ს.

3. ამ მუხლში გამოყენებისას ტერმინი „როიალტი“ ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახდელ თანხას, რომელიც მიიღება ანაზღაურების სახით ლიტერატურის, ხელოვნების ან მეცნიერების ნებისმიერი ნაშრომის გამოყენების ან გამოყენებაზე საავტორო უფლების გადაცემისათვის, მათ შორის კინოფილმების, პატენტის, სავაჭრო მარკის, დიზაინის, მოდელის, სქემის, საიდუმლო ფორმულის, პროცესის, სამრეწველო, კომერციული ან სამეცნიერო გამოცდილების შესახებ ინფორმაციით („ნოუ-ჰაუ“) სარგებლობაზე ან სარგებლობისათვის უფლების მინიჭებაზე.

4. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტის დებულებები არ გამოიყენება, თუ როიალტის ფაქტობრივი მფლობელი, როგორც ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, ახორციელებს ეკონომიკურ (სამეწარმეო) საქმიანობას მეორე მხარის სახელმწიფოში, სადაც წარმოიქმნება როიალტი, იქ არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ან ეწევა ამ მეორე მხარის სახელმწიფოში დამოუკიდებელ პირად მომსახურებას იქ არსებული მუდმივი ბაზის მეშვეობით, და უფლება ან ქონება, რომლის მიმართაც გადახდილი იქნება როიალტი, ნამდვილად არის დაკავშირებული ამ მუდმივ დაწესებულებასთან ან მუდმივ ბაზასთან. ამ შემთხვევაში, გარემოებათა შესაბამისად, გამოიყენება შეთანხმების მე-7 ან მე-14 მუხლების დებულებები.

5. ითვლება, რომ როიალტი წარმოიქმნება მხარის სახელმწიფოში, თუ გადამხდელად არის თვითონ ამ მხარის სახელმწიფო, მისი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო ან ამ მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი. თუ, ამასთან, როიალტის გადამხდელ პირს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, მეორე მხარის სახელმწიფოში გააჩნია მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, რომლებთან დაკავშირებითაც წარმოიქმნება როიალტის გადახდის ვალდებულება და ამ როიალტის გადახდის ხარჯების ანაზღაურებას ახორციელებს ასეთი მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, მაშინ ითვლება, რომ ასეთი როიალტი წარმოიქმნება იმ მხარის სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა.

6. თუ გადამხდელსა და ფაქტობრივ მფლობელს შორის, ან მათსა და რომელიმე მესამე პირს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების არსებობის გამო, როიალტის თანხა, რომელიც მიეკუთვნება უფლებას ან ინფორმაციის გამოყენებას, რომლის საფუძველზეც ის გადახდილი იქნება, აჭარბებს თანხას, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა გადამხდელსა და ფაქტობრივ მფლობელს შორის ასეთი ურთიერთობების არარსებობისას, მაშინ ამ მუხლის დებულებები გამოიყენება მხოლოდ ბოლოს ხსენებული თანხის მიმართ. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის ნამატი ნაწილი ექვემდებარება დაბეგვრას თითოეული მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ შეთანხმების სხვა დებულებების გათვალისწინებით.

მუხლი 13. ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები

1. შემოსავლები, რომლებსაც იღებს ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი მეორე მხარის სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან, როგორც ეს განსაზღვრულია მე-6 მუხლში, შეიძლება დაიბეგროს გადასახადებით ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

2. ქონების გასხვისებიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც შეადგენს ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმოს მიერ მეორე მხარის სახელმწიფოში შექმნილი მუდმივი დაწესებულების ქონების ნაწილს, ან შემოსავლები ერთი მხარის სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფი მუდმივი ბაზის კუთვნილი ქონების გასხვისებიდან, რომელიც მეორე მხარის სახელმწიფოში იმყოფება დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გასაწევად, აგრეთვე მუდმივი დაწესებულების (ცალკე ან მთელ საწარმოსთან ერთობლივად) გასხვისებიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით ან

ასეთი მუდმივი ბაზის გასხვისებიდან მიღებული შემოსავალი, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

3. შემოსავლები, რომლებიც მიიღება ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებული საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებების და მათ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ქონების გასხვისების შედეგად, შეიძლება დაიბეგროს, იმ მეორე მხარის სახელმწიფოში, სადაც განთავსებულია საწარმოს ფაქტობრივი მართვის ადგილი.

4. შემოსავლები, რომლებიც მიიღება ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ აქციებისა და კომპანიის სხვა კორპორაციული უფლებების გასხვისების შედეგად, რომელთა აქტივები პირდაპირ ან ირიბად შედგებიან მეორე მხარის სახელმწიფოში არსებული უძრავი ქონებიდან, შეიძლება დაიბეგროს მეორე მხარის სახელმწიფოში.

5. ნებისმიერი სხვა სახის ქონების გასხვისების შედეგად მიღებული შემოსავალი, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მითითებულია 1-ლ, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში, დაიბეგრება გადასახადით მხოლოდ იმ მხარის სახელმწიფოში, რომლის რეზიდენტსაც წარმოადგენს ქონების გამსხვისებელი პირი.

მუხლი 14. დამოუკიდებელი კერძო მომსახურება

1. შემოსავალი, რომელსაც იღებს ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი პროფესიონალური მომსახურების ან სხვა დამოუკიდებელი ხასიათის საქმიანობის შედეგად, იბეგრება მხოლოდ იმ მეორე მხარის სახელმწიფოში, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა რეზიდენტს გააჩნია მეორე სახელმწიფოში მუდმივი ბაზა, რომელსაც იგი იყენებს საქმიანობისათვის. თუ მას გააჩნია ასეთი მუდმივი ბაზა, მაშინ აღნიშნულ ბაზასთან დაკავშირებული შემოსავალი შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მხარის სახელმწიფოში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც განეკუთვნება ამ მუდმივ ბაზას.

2. ტერმინი „პროფესიონალური მომსახურება“, კერძოდ, შეიცავს დამოუკიდებელ სამეცნიერო, ლიტერატურულ, სამსახიობო, საგანმანათლებლო ან სასწავლო საქმიანობას, აგრეთვე ექიმების, ადვოკატების, ინჟინრების, არქიტექტორების, სტომატოლოგების, ბუღალტრებისა და აუდიტორების დამოუკიდებელ საქმიანობას.

მუხლი 15. დამოუკიდებელი კერძო მომსახურება

1. შეთანხმების მე-16, მე-18 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით, ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ დაქირავებული შრომით მიღებული გასამრჯელო, ხელფასი ან სხვა მსგავსი ანაზღაურება, იბეგრება მხოლოდ ამ მხარის სახელმწიფოში, თუ დაქირავებული შრომა არ ხორციელდება მეორე მხარის სახელმწიფოში. თუ დაქირავებული შრომა ხორციელდება ასეთი სახით, მაშინ მიღებული ანაზღაურება შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა მიუხედავად, ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მეორე მხარის სახელმწიფოში გახორციელებული დაქირავებული შრომიდან მიღებული გასამრჯელო იბეგრება გადასახადით მხოლოდ პირველად მითითებული მხარის სახელმწიფოში, თუ:

a) მიმღები იმყოფება მეორე მხარის სახელმწიფოში 183 დღეზე ნაკლებ ხანს ნებისმიერი თორმეტთვიანი პერიოდის განმავლობაში, რომელიც იწყება ან მთავრდება საგადასახადო წელს; და

b) გასამრჯელო გაიცემა დამქირავებლის მიერ ან დაქირავებულის საბელით, რომელიც არ წარმოადგენს მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტს; და

ც) გასამრჯელოს გაცემაზე ხარჯების ანაზღაურებას არ ახორციელებს მუდმივი დაწესებულება ან მუდმივი ბაზა, რომელიც დამქირავებელს გააჩნია მეორე მხარის სახელმწიფოში.

3. ამ მუხლის წინა დებულების მიუხედავად, გასამრჯელო, რომელიც მიიღება ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმოს მიერ საერთაშორისო გადაზიდვებში ექსპლუატირებული საზღვაო და სააერო სატრანსპორტო საშუალებებზე გახორციელებულ დაქირავებულ შრომასთან, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით იმ მხარის სახელმწიფოში, სადაც განთავსებულია საწარმოს ფაქტობრივი ხელმძღვანელი ორგანო.

მუხლი 16. დირექტორთა გასამრჯელოს ანაზღაურება

დირექტორთა გასამრჯელოს ანაზღაურება და სხვა მსგავსი შემოსავლები, რომლებსაც მიიღებს ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი, როგორც მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი კომპანიის დირექტორთა საბჭოს ან კომპანიის ანალოგიური ორგანოს წევრი, შეიძლება დაიბეგროს გადასახადით ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

მუხლი 17. მსახიობები და სპორტსმენები

1. შეთანხმების მე-14 და მე-15 მუხლების დებულებათა მიუხედავად, შემოსავალი, რომელსაც მიიღებს ერთი მხარის სახელმწიფო რეზიდენტი, როგორც ხელოვნების მუშაკი (როგორცაა თეატრის, კინოს, რადიოს, ტელევიზიის მსახიობი ან მუსიკოსი), ან როგორც სპორტსმენი, მის მიერ მეორე მხარის სახელმწიფოში გახორციელებული კერძო საქმიანობიდან, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

2. თუ შემოსავალი კერძო საქმიანობიდან, რომელსაც განახორციელებს ხელოვნების მუშაკი ან სპორტსმენი, როგორც ასეთი, დაერიცხება არა თვით მას, არამედ სხვა პირს, მაშინ ეს შემოსავალი მიუხედავად ამ შეთანხმების მე-7, მე-14 და მე-15 მუხლების დებულებებისა, შეიძლება დაიბეგროს იმ მხარის სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება აღნიშნული ხელოვნების მუშაკებისა და სპორტსმენების საქმიანობა.

3. პირველი და მეორე პუნქტების დებულებების მიუხედავად, შემოსავალი, რომელიც განსაზღვრულია ამ მუხლში, გათავისუფლდება დაბეგვრისაგან იმ მხარის სახელმწიფოში, რომელშიც მსახიობი ან სპორტსმენი ახორციელებს საქმიანობას, თუ მსახიობის ან სპორტსმენის ეს საქმიანობის მნიშვნელოვანი წილის (50%-ზე მეტი) დაფინანსება ხდება მეორე მხარის სახელმწიფოს საზოგადოებრივი ფონდების მიერ, ან თუ ეს საქმიანობა ხორციელდება მხარეთა სახელმწიფოებს შორის გაფორმებულ კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ სამთავრობათაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 18. პენსიები

მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პენსია და სხვა მსგავსი ანაზღაურება, რომელსაც გადაუხდის ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტს, წარსულში მისი დაქირავებული შრომის გამო, შეიძლება დაიბეგროს მხოლოდ იმ მხარის სახელმწიფოში, სადაც ის წარმოიქმნა.

მუხლი 19. სახელმწიფო სამსახური

1. ერთი მხარის სახელმწიფოს ან მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიერ ფიზიკური პირისადმი ამ სახელმწიფოსათვის გაწეული სამსახურისათვის გადახდილი გასამრჯელო, იბეგრება მხოლოდ ამ მხარის სახელმწიფოში.

2. თუმცა ასეთი ანაზღაურება იბეგრება მხოლოდ მეორე მხარის სახელმწიფოში, თუ სამსახური ხორციელდება ამ მხარის სახელმწიფოში და ფიზიკური პირი წარმოადგენს ამ სახელმწიფოს რეზიდენტს, რომელიც:

I) არის ამ სახელმწიფოს ეროვნული პირი; ან

II) არ გახდა ამ სახელმწიფოს რეზიდენტი, მხოლოდ აღნიშნული სამსახურის გაწევის მიზნით.

3. ნებისმიერი პენსია, რომელიც გაიცემა ერთი მხარის სახელმწიფოს ან მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიერ, ან მათ მიერ შექმნილი ფონდებიდან ნებისმიერი ფიზიკური პირის მიმართ იმ სამსახურთან დაკავშირებით, რომელიც გაწეულ იქნა ამ მხარის სახელმწიფოს ან მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისათვის, იბეგრება მხოლოდ ამ მხარის სახელმწიფოში. აღსანიშნავია, რომ ასეთი პენსია იბეგრება მხოლოდ მეორე მხარის სახელმწიფოში, თუ ფიზიკური პირი არის ამ მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი ან მისი ეროვნული პირი.

4. მე-15, მე-16 და მე-18 მუხლების დებულებები გამოიყენება ერთ-ერთი მხარის სახელმწიფოს ან მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიერ ეკონომიკური (სამეწარმეო) საქმიანობის შესრულებისას გაწეული მომსახურების ანაზღაურების და პენსიებთან დაკავშირებით.

მუხლი 20. სტუდენტები

სტუდენტის, მოსწავლის ან პრაქტიკანტის მიერ მიღებული ანაზღაურება, რომელიც ერთი მხარის სახელმწიფოში უშუალოდ ჩამოსვლამდე იყო ან არის მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი და აღნიშნულ პირველი მხარის სახელმწიფოში იმყოფება მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკის გასავლელად ან განათლების მიღების მიზნით, ხოლო ეს ანაზღაურება განკუთვნილია საცხოვრებლად, პრაქტიკის გასავლელად და განათლების მისაღებად, აღნიშნული ანაზღაურება არ დაიბეგრება გადასახადით ამ მხარის სახელმწიფოში, თუ ამ ანაზღაურების წყაროები მდებარეობენ ამ მხარის სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ მდებარეობს.

მუხლი 21. პროფესორები, მასწავლებლები და მეცნიერი-მუშაკები

1. პროფესორის, მასწავლებლის და მეცნიერი-მუშაკის მიერ მიღებული ანაზღაურება, რომელიც ერთი მხარის სახელმწიფოში უშუალოდ ჩამოსვლამდე იყო ან არის მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი და აღნიშნულ პირველი მხარის სახელმწიფოში იმყოფება მხოლოდ და მხოლოდ სწავლების ან სამეცნიერო გამოკვლევების მიზნით, არაუმეტეს ორი წლისა, პირველი მხარის სახელმწიფოს მთავრობის მიერ აღიარებულ უნივერსიტეტში, კოლეჯში ან სხვა სასწავლო ან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში, არ დაიბეგრება გადასახადით ამ პირველი მხარის სახელმწიფოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება იმ კვლევითი სამუშაოებისაგან მიღებული შემოსავლების მიმართ, თუ ასეთი სამუშაოები სრულდება არა საზოგადოებრივი ინტერესების, არამედ გარკვეული პირების ან პირის პირადი სარგებლობისათვის.

მუხლი 22. სხვა შემოსავლები

1. ერთ-ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის შემოსავლების სახეები, რომლებიც არ არის მითითებული შეთანხმების წინა მუხლებში ექვემდებარებიან დაბეგვრას ამ მხარის სახელმწიფოში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები არ გამოიყენება იმ შემოსავლების მიმართ, რომლებიც განსხვავდება მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული უძრავი ქონების შემოსავლებისგან, თუ ასეთი შემოსავლების მიმღები არის ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი და ახორციელებს ეკონომიკურ (სამეწარმეო) საქმიანობას მეორე მხარის სახელმწიფოში არსებული მუდმივი წარმომადგენლობის (დაწესებულების) მეშვეობით, ან მეორე მხარის სახელმწიფოში ახორციელებს დამოუკიდებელ პირად მომსახურებას აქ არსებული მუდმივი ბაზის მეშვეობით, და უფლება და ქონება, რომლებთან დაკავშირებითაც მიიღება

შემოსავალი, ნამდვილად დაკავშირებულია ასეთ მუდმივ წარმომადგენლობასთან (დაწესებულებასთან) ან მუდმივ ბაზასთან. ასეთ შემთხვევაში, ვითარებიდან გამომდინარე, გამოიყენება შეთანხმების მე-7 და მე-14 მუხლები.

მუხლი 23. კაპიტალი

1. უძრავი ქონებით წარმოდგენილი კაპიტალი, რომელიც მითითებულია მე-6 მუხლში და რომელიც წარმოადგენს ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის საკუთრებას, მდებარეობს მეორე მხარის სახელმწიფოში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

2. მოძრავი ქონებით წარმოდგენილი კაპიტალი, რომელიც გააჩნია ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმოს მეორე მხარის სახელმწიფოში განლაგებული მუდმივი დაწესებულების კომერციული ქონების ნაწილს წარმოადგენს, ან წარმოდგენილია უძრავი ქონების სახით და დაკავშირებული მუდმივ ბაზასთან, რომელიც ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტს გააჩნია მეორე მხარის სახელმწიფოში დამოუკიდებელი პირადი მომსახურების გაწევის მიზნებისათვის, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

3. სატარნსპორტო საშუალებებით წარმოდგენილი კაპიტალი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო გადაზიდვებში და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული მოძრავი ქონება იბეგრება მხოლოდ იმ მხარის სახელმწიფოში, სადაც მდებარეობს საწარმოს ფაქტობრივი ხელმძღვანელი ორგანო.

4. აქციებითა და კომპანიის სხვა კორპორაციული უფლებებით წარმოდგენილი კაპიტალი, რომელთა აქტივები ძირითად შედგება ერთი მხარის სახელმწიფოში არსებული უძრავი ქონებისაგან, შეიძლება დაიბეგროს ამ მხარის სახელმწიფოში.

5. ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის კაპიტალის ყველა სხვა სახე დაიბეგრება მხოლოდ ამ სახელმწიფოში.

მუხლი 24. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მეთოდი

1. თუ ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტი იღებს შემოსავალს ან ფლობს კაპიტალს მეორე მხარის სახელმწიფოში, რომელიც შეთანხმების დებულებების შესაბამისად შეიძლება დაიბეგროს მეორე მხარის სახელმწიფოში, მაშინ პირველად მითითებული მხარის სახელმწიფო დართავს ნებას:

a) გამოქვითოს იმ შემოსავალზე დაბეგვრის თანხა, თანაბრად იმ გადასახადისა შემოსავალზე, რომელიც გადახდის იქნა ამ რეზიდენტის მიერ მეორე მხარის სახელმწიფოში;

b) გამოქვითოს იმ კაპიტალზე დაბეგვრის თანხა, თანაბრად იმ გადასახადისა კაპიტალზე, რომელიც გადახდის იქნა ამ რეზიდენტის მიერ მეორე მხარის სახელმწიფოში.

ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი გამოქვითვები არ უნდა აღემატებოდეს შემოსავალსა და კაპიტალზე გადასახადის იმ ნაწილს, რომელიც წარდგენამდე გამოითვლება გამოსაქვითად, შესაბამისად, გარემოებებიდან გამომდინარე, იმ შემოსავლებზე ან კაპიტალზე, რომელიც შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე მხარის სახელმწიფოში.

2. თუ შეთანხმების ნებისმიერ დებულებათა შესაბამისად, ერთი მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავალი განთავისუფლებულია გადასახადისაგან ამ ერთი მხარის სახელმწიფოში, ამ რეზიდენტის შემოსავლის დარჩენილ ნაწილზე გადასახადის თანხის განსაზღვრისას, ამ მხარის სახელმწიფოს შეუძლია მხედველობაში მიიღოს გადასახადისაგან გათავისუფლებული შემოსავალი ან კაპიტალი.

მუხლი 25. არადისკრიმინაცია

1. ერთი მხარის სახელმწიფოს ნაციონალური პირი არ დაექვემდებარება მეორე მხარის სახელმწიფოში განსხვავებულ ან უფრო დამამძიმებელ დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ

რაიმე ვალდებულებებს, ვიდრე დაბეგვრას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომლებსაც ექვემდებარებიან ან შეიძლება დაექვემდებარონ ამ მეორე სახელმწიფოს ეროვნული პირები იმავე გარემოებებში, კერძოდ, რეზიდენციის თვალსაზრისით. ეს დებულება შეთანხმების 1-ლი მუხლის დებულებების მიუხედავად გამოიყენება აგრეთვე ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ არიან ერთი ან ორივე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტები.

2. მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც წარმოადგენენ მხარის სახელმწიფო რეზიდენტებს, არც ერთი მხარის სახელმწიფოში არ უნდა დაექვემდებარონ ნებისმიერ დაბეგვრას ან ნებისმიერ მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, განსხვავებულს ან უფრო დამამძიმებელს, ვიდრე დაბეგვრა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებსაც ექვემდებარებიან მხარეთა სახელმწიფოების ნაციონალური პირები იმავე პირობებში.

3. იმ მუდმივი დაწესებულების დაბეგვრა, რომელიც ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმოს გააჩნია მეორე მხარის სახელმწიფოში, არ უნდა იყოს ნაკლებად ხელსაყრელი ამ მეორე მხარის სახელმწიფოში, ვიდრე ამ მეორე მხარის სახელმწიფოს საწარმოთა დაბეგვრა, რომლებიც ამგვარ საქმიანობას ახორციელებენ ამ მეორე მხარის სახელმწიფოში. ეს დებულება არ უნდა იქნეს განმარტებული, თითქოს ერთი მხარის სახელმწიფო ვალდებულია მიანიჭოს მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტს რაიმე პირადი უპირატესობები, შეღავათები და შემცირებები დაბეგვრისას მათი სამოქალაქო სტატუსის ან ოჯახური მდგომარეობის გამო, რომლებსაც ის ანიჭებს საკუთარ რეზიდენტებს.

4. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გამოიყენება მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, მე-11 მუხლის მეექვსე პუნქტი და მე-12 მუხლის მეოთხე მუხლი, პროცენტი, როიალტი და სხვა გადასახადი წარმოებული ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმოს მიერ მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტისათვის, ასეთი საწარმოს დასაბეგრი მოგების განსაზღვრის მიზნით, უნდა გამოითვალოს იმავე პირობების საფუძველზე, რაც შეიძლება გადაეხადათ პირველად ნახსენებ მხარის სახელმწიფო რეზიდენტებს. ანალოგიურად, ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმოს დავალიანება მეორე მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიმართ, ასეთი საწარმოს დასაბეგრი კაპიტალის განსაზღვრის მიზნით, უნდა გამოითვალოს იმავე პირობების საფუძველზე, როგორც დავალიანება პირველად მითითებული მხარის სახელმწიფოს რეზიდენტის მიმართ.

5. ერთი მხარის სახელმწიფოს საწარმო, რომლის კაპიტალი მთლიანად ან ნაწილობრივ ეკუთვნის მეორე მხარის სახელმწიფოს ერთ ან რამდენიმე რეზიდენტს, ან პირდაპირ ან ირიბად, კონტროლირდება მეორე მხარის სახელმწიფოს ერთი ან რამდენიმე რეზიდენტის მიერ, პირველად ხსენებულ მხარის სახელმწიფოში არ უნდა დაექვემდებაროს ნებისმიერ დაბეგვრას ან მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ვალდებულებებს, განსხვავებულს ან უფრო დამამძიმებელს, ვიდრე დაბეგვრა ან მასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომლებსაც შეიძლება დაექვემდებაროს პირველად ხსენებული მხარის სახელმწიფოს სხვა მსგავსი საწარმოები.

6. შეთანხმების მეორე მუხლის დებულებების მიუხედავად, ამ მუხლის დებულებები გამოიყენება ნებისმიერი სახის გადასახადების მიმართ.

მუხლი 26. ურთიერთშეთანხმების პროცედურა

1. თუ ერთი პირი თვლის, რომ ერთი ან ორივე მხარის სახელმწიფოს მოქმედება იწვევს ან გამოიწვევს მის დაბეგვრას შეთანხმების დებულებების შეუსაბამოდ, მას შეუძლია, ამ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებათა მიუხედავად, წარადგინოს თავისი საქმე განსახილველად იმ მხარის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებში, რომლის რეზიდენტსაც იგი წარმოადგენს, ან თუ მისი შემთხვევა ექვემდებარება შეთანხმების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მოქმედებას, იმ მხარის სახელმწიფოში, რომლის

ეროვნულ პირსაც იგი წარმოადგენს. განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს სამი წლის განმავლობაში იმ ქმედებათა შესახებ პირველი შეტყობინების შემდეგ, რომლებიც იწვევენ გადასახადით დაბეგვრას შეთანხმების დებულებათა შეუსაბამოდ.

2. კომპეტენტური ორგანო შეეცდება, თუ იგი განცხადებას დასაბუთებულად ჩათვლის და თუ მას თვითონ არ შეუძლია მივიდეს დამაკმაყოფილებელ გადაწყვეტილებამდე, მეორე მხარის სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოსთან ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტოს საკითხი შეთანხმებასთან შეუსაბამო დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით. ნებისმიერი მიღწეული შეთანხმება უნდა შესრულდეს მიუხედავად ნებისმიერი დროებითი შეზღუდვისა, რომელსაც ადგილი აქვს მხარის სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობაში.

3. მხარეთა სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები შეეცდებიან ურთიერთშეთანხმებით გადალახონ ნებისმიერი სიძნელე ან გაუგებრობა, რომელიც წარმოიქმნება შეთანხმების განმარტების ან გამოყენებისას. მათ შეუძლიათ ასევე აწარმოონ კონსულტაციები ერთმანეთთან ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით, იმ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმების დებულებებში.

4. მხარეთა სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ დაამყარონ პირდაპირი კონტაქტები ერთმანეთთან ზემოთ აღნიშნული პუნქტების განმარტების მიზნით. თუ შეთანხმების მისაღწევად მიზანშეწონილი იქნება აზრთა ზეპირი გაცვლის ორგანიზება, ასეთი გაცვლა შეიძლება შედგეს მხარეთა სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენლებისაგან და შემდგარი ორმხრივი კომისიის სხდომების ფარგლებში.

მუხლი 27. ინფორმაციის გაცვლა

1. მხარეთა სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები ცვლიან იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია შეთანხმების დებულებათა ან მხარეთა სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის შესრულებისათვის იმ გადასახადების შესახებ, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება იმ მოცულობით, ვიდრე დაბეგვრა არ ეწინააღმდეგება შეთანხმებას. ინფორმაციის გაცვლა არ იზღუდება პირველი მუხლით. მხარეთა სახელმწიფოების მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად ისევე, როგორც ინფორმაცია მიღებული ამ მხარის სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, და ეცნობება მხოლოდ იმ პირებს და ორგანოებს (სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩათვლით), რომლებიც დაკავებულნი არიან იმ გადასახადების შეფასებით ან ამოღებით, იძულებითი წესით ამოღებით ან სასამართლო დევნით, ან იმ აღნიშნულ გადასახადებთან დაკავშირებული აპელაციების განხილვით, რომლებზეც ვრცელდება შეთანხმება. პირები ან ორგანოები იყენებენ ამ ინფორმაციას მხოლოდ ამ მიზნებისათვის. მათ შეუძლიათ ამ ინფორმაციის გამხელა სასამართლოს ღია სხდომის მსვლელობისას ან სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას.

2. 1-ლი პუნქტის დებულებები არ იქნება განმარტებული, როგორც სავალდებულო, რომელიმე მხარის სახელმწიფოსათვის:

a) გაატარონ ისეთი ადმინისტრაციული ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ერთი ან მეორე მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობას ან ადმინისტრაციულ პრაქტიკას;

b) მიაწოდონ ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება მიღებულ იქნეს ამა თუ იმ მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობით ან ჩვეულებრივი ადმინისტრაციული პრაქტიკის მსვლელობისას;

c) გასცენ ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გაამხილოს რაიმე სავაჭრო, ეკონომიკური, სამრეწველო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოება, ან სავაჭრო პროცესი, ან ინფორმაცია, რომლის გამხელაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს პოლიტიკას.

მუხლი 28. დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები

შეთანხმების არც ერთი დებულება არ ეხება დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლების საგადასახადო პრივილეგიებს, რაც დადგენილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმების ან სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე.

მუხლი 29. ცვლილებები და დამატებები

ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მხარეთა სახელმწიფოების მიერ შეთანხმებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, გაფორმებული ცალკეული ოქმებით, რომლებიც შეთანხმების განუყოფელ ნაწილად ჩაითვლებიან, ორივე მხარის მიერ ამ ცვლილებებისა და დამატებების ძალაში შესასვლელად აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდგომ.

მუხლი 30. ძალაში შესვლა

1. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა სახელმწიფოების მიერ ძალაში შესვლისათვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დამთავრების შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ და მისი დებულებები გამოიყენება:

a) შემოსავლების წყაროებიდან ამოღებული გადასახადების მიმართ – შემოსავლებიდან, რომლებიც გაიცემა ან დაირიცხება იმ კალენდარული წლის პირველი იანვრიდან ან პირველი იანვრის შემდეგ, რომელიც მოსდევს შეთანხმების ძალაში შესვლის წელს;

b) სხვა გადასახადების, ნებისმიერი საგადასახადო პერიოდებისათვის ამოღებული გადასახადების მიმართ, რომელიც იწყება კალენდარული წლის პირველი იანვრიდან ან პირველი იანვრის შემდეგ, რომელიც მოსდევს ამ შეთანხმების ძალაში შესვლის წელს.

მუხლი 31. მოქმედების შეწყვეტა

შეთანხმება ძალაში რჩება იმ დრომდე, ვიდრე ერთ-ერთი მხარის სახელმწიფო წერილობითი შეტყობინების გზით ნებისმიერი წლის გასვლამდე არაუგვიანეს ექვსი თვისა, არ გამოხატავს თავის სურვილს შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში შეთანხმება ძალას კარგავს ნებისმიერი საფინანსო წლის გადასახადების მიმართ, დაწყებული იმ კალენდარული წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომლის დროსაც მოხდა შეტყობინების გადაცემა შეთანხმების შეწყვეტის შესახებ.

დასტურად ამისა, ორივე მხარის სახელმწიფოთა უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა, ხელი მოაწერეს შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. ვარშავაში, 1999 წლის 5 ნოემბერს, ორ პირად, თითოეული ქართულ, პოლონურ და რუსულ ენებზე, ამასთან, ყველა ტექსტს გააჩნია თანაბარი ძალა. შეთანხმების დებულებათა განმარტებისას განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს რუსულ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით (ხელმოწერილია)	პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით (ხელმოწერილია)
---	---